ИВЕРІЯ

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

გაზეთის ღირს

თვეში	მან.	კ.	თვეში	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავშვალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულის სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განცყოფილებისა, სათავად-აზნაურთ ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

„ИВЕРІЯ“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჯსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო ჰასუხსა მგებელ იქნება მარტო ამ სელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთასთვის შესახებ ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშიგე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთის გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება

დ. ზ. ბაძრაძის თხზულება

ისტორია საქართველოსი

(უძველესის დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე)

ფასი ერთი მანეთი

(10—0—1)

ახალი ამბავი

*** მთავარმართებელი კავკასიისა გენერალ-ადუტანტი ს. ა-ძე შერემეტევი მეუღლითურთ და ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ-ძე შერვაშიძე ამ რამდენისამე დღის წინად სოფ. საგურამოს წაბრძანდნენ. 11 ივნისს, დილის 11 საათზე, მთავარმართებელი მეუღლითურთ, ბ-ნი გუბერნატორი და მხლებელნი სოფ. წინამძღვარიანთ-კარში ავიდნენ და იქაური სამეურნეო სასწავლებელი ინახულეს. ეკკლესიის კარებში სტუმრებს მიეგება ამ სასწავლებლის საღმრთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი მამა ასათიანი, რომელმაც მოკლე სიტყვაც უთხრა. პარაკლისის შემდეგ მთავარმართებელმა დაათვალიერა ამ სასწავლებლის შეგირდების სადგომი, ეკკლესია, რომელიც ახლად შენდება, ფერმა, და დაწვრილებით გაიცნო წეს-რიგი სასწავლებლისა, მისი ნივთიერი დონე და სწავლა-აღზრდის მიმდინარეობა და ან რა თვალით უყურებს ადგილობრივი ხალხი ამ სკოლას.

სპეციალურს კლასში თავ-მოყრილი იყვნენ მოსწავლენი თავიანთ მასწავლებლებითურთ და, როცა სტუმრები ამ ოთახებში შემოვიდნენ, მოსწავლეთა გუნდმა იგალობა საერო საგალობელი (ჰიმნი) „Боже, Царя храни“. აქედამ მთავარმართებელი და სხვები სასტუმრო ოთახში გადავიდნენ, სადაც სასწავლებლის მუზეია მოთავსებული. მოსწავლეებმა მთავარმართებელს მიართვეს ორი საბალო დასაკეცი სკამი. აქედამ წავიდნენ ფერმისაკენ და დაათვალიერეს აბრეშუმის ჭიის სადგომი. სახელოსნო განყოფილებას მთავარმართებელმა შეუკვეთა 12 სკამი. მთავარმართებელის მეუღლეს მოსწავლეთ მიართვეს თაიგულები ყვავილებისა და აბრეშუმის პარკებისა და თაფლი.

ეს ამბავი გაზ. „ნოვაია ობოზრენიედამ“, ამოვიკითხეთ. გაზეთი, დასძენს, რომ გამოთხოვებისას მთავარმართებელმა სკოლის გამგებელს გამოუცხადა თავისი კმაყოფილება და სიამოვნება იმის შესახებ, რაც ნახა, და თანაც ისიც აღუთქვა, რაც-კი ჩემთვის შესაძლო იქნება, ყოველსავე შემწეობას აღმოვუჩენ ამ სასწავლებელსაო.

*** ჩვენს ქალაქში სახელოვანის კომპოზიტორის ანტონ გრიგოლის ძის რუბინშტეინის პატივის მცემელნი პარასკევს, 21 ივნის, საღამოს გაუმართავენ საოპერო თეატრის ბაღში. ოთხშაბათს ა. გ-ძე სტუმრად იყო კოჯორში ი. ი-ძე ფიოთოევთან და იქვე ისადილა. ბ-ნ რუბინშტეინს თანა ჰყავს თავისი შვილი იაკობი.

*** სინოდის კანტორის პროკურორი ბ-ნი შირსკი ამ თვეის 19-ს გაემგზავრა ბათუმს და იქიდგან პეტერბუგს წავა.

*** დღეს საღამოს საბჭოს კრებაა დანიშნული. ამ კრებას, სხვათა მორიგ საქმეთა შორის, ქალაქის თავი, თავ. ნ. ვ-ძე არღუთინსკი-დოლგორუკი მოახსენებს იმ კომისიის მუშაობას, რომელმაც წარსულს კვირას ავქალასა და ტფილისში გამოიკვლია ქალაქის მიღის წყალის ვითარების საქმე. როგორც ვიცით, ამ კომისიის მუშაობას თვით ბ-ნი ქალაქის თავიც დაესწრო.

*** საქალაქო საქიმიო ლაბორატორიის გამგედ ქალაქის გამგეობამ დანიშნა ქიმიკოსი გ. გ-ძე ალიბეგოვი.

*** ამ თვის პირველს კვირაში ყვავილითა და ყელის ტკივილით ქალაქში ავადმყოფი იყო სულ 6 კაცი. მეორე კვირაში, 8-15 რიცხვამდე, ავად გამხდარა კიდევ: ყვავილით 5 კაცი, მომკვდარა ამათგან ორი; ყელის ტკივილით გამხდარა ავად ერთი.

*** ტფილისისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში წელს სწავლა დაამთავრა 28 ქალმა. ამათგან ორი რუსია და დანარჩენი ქართველები, სახელდობრ: ელ. თუშმელიშვილი, ნინო მუსხელიშვილი, ელის. მანგოაშვილი. ანასტ. ბაქრაძე, ანასტ. კოტტეტიშვილი, ალ. სანაყაშვილი; ეკ. სულხანიშვილი, ან. ხახუტაშვილი, ელენე იმნაძე, ბარ. გულისაშვილი, ევ. კობიაშვილი, დარია ნახუცრიშვილი, ქეთ. ჩიქოვანი, მარ. დადიანიძე, ნინო გძელიშვილი, მელანია ხახუტაშვილი, მარიამ დოთიაშვილი, ელენ. ჭელაშვილი, ნინო თინიკაშვილი, ივლიტა ჩაბაშვილი, მარიამ ტყემალაძე, მინადარა ბეგიაშვილი, ეფრ. მთიულიშვილი. ეკატ. ბერიძე და ოლგა კასრაძე. ამათ გარდა ეგზამენები კურსის გათავებისა უნდა დაიჭიროს აგვისტოს გასულს მ. აღლაძემ და ტვირისა ხომერიკემ, რადგან ამ ჟამად ავადმყოფობისა გამო ვერ გამოცხადდენ ეგზამენზე.

ხსენებულს საეპარქიო სასწავლებელში 18 სტიპენდიაა თავისუფალი სექტემბრისათვის—6 მიტროპოლიტ იოანიკესი: ოთხი ტფილისის მაზრისთვის, ერთი თელავისა და ერთიც სამეგრელოსთვის და საეკკლესიო საეპარქიო—12, სამი თელავისა, 4 გორისა და 5 ტფილისის მაზრისათვის.

*** როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, ჩქარა ვეღირსებით ქართულს წარმოდგენას, რომელიც აგერ რამდენი ხანია აღარ ყოფილა. ეს წარმოდგენის გამართვა იმას გამოუწვევია, რომ ამ ჟამად აქა ბრძანდება ცნობილი კომპოზიტორი ა. გ. რუბინშტეინი და ქართულის დრამატიულის დასის არტისტებს განუზრახავთ, ჩვეულებისამებრ, პატივ სცენ და წარმოდგენა გაუმართონ. ამ წარმოდგენის დროსვე იგალობებენ აგრეთვე ქართულს ხმებს, სახანდარი იქნება მოწვეული, ცეკვა-თამაშობას გაჰმართვენ და სხ. წარმოდგენის გამართვას ამ კვირა დღისათვის აპირობენ თურმე.

*** აღზევნიდამ (ყარსის მაზრა) გვწერენ, რომ იქ ერთს დიდს მთაზედ სდგას თურმე მშვენიერი ძველი კოშკი, რომელსაც ქართული წარწერა აქვს. ამ კოშკის შესახებ დარჩენილია შემდეგი თქმულებაო: „სა-

---

ფელეტონი

სოფელს ხევთა პირაში

(მოთხრობა)

I

ახალი გაზაფხულის პირი იყო. მოწყენდილი და გაკაშაშებული ცა თითქმის ყოველს ადამიანს გარედ იწვევდა. სოფელს ხევთა პირაში ხალხს თავი მოეყარა, დიდრონს ჩინრებს ქვეშ ჩამოებათ საქანელა, რადგან ყველიერი იყო; ქალნი თუ კაცნი სიამოვნებით ქანაობდნენ. ხან კაცებს ფერხული ებათ და ქალები ძერაბუას თამაშობდნენ. იქით მყუდროზედ მჯდომმა ხანში შესულმა დედაკაცმა დაუძახა ქალებს.

— მაგის თამაშობას, სამაი დაადათ და ქალი მოტაცება ითამაშოთ, ის არა სჯობს?

— ჰო! ეგ კარგი იქნება—დაიძახეს ერთ ხმად!..

— აბა ვინ დავსოთ თამარად?— ვინა და აი, ნაცვლიანთ თებრო! ღმერთმანი ლამაზი არ არისდა! უპასუხა ქვრივმა დარეჯანამ.

— ჰო, კარგი, კარგი! გოგოებმა სიხარულით წაავლეს ხელი ერთს თხუთმეტ-თექვსმეტის წლის ქალს და მოიყვანეს გაკვებული; ყმაწვილი ქალი უძალიანდებოდა და არ მოსდევდა:

— არა, გენაცვალეთ, ახალი კაბა მაცვია, მოტაცებაში სულ ჩამომახეთო და დედაჩემი მომლალავს!..

მაინც არ მოეშვნენ, ძალად დასვეს. ერთი ხანში შესული დედაკაცი უკან მოუჯდა და გარშემო რამდენიმე ქალი დაუდგა. ოკამდე, ქალმა კიდევ ერთმანერთს უკან კაბის ნოკზედ ხელი მოჰკიდეს, გრძლად დადგნენ და სიმღერით თებროს გარს შემოუარეს.

„ქალი მოგვე, მოგვითხოვე გულს გარდამო“...

ამაზე პასუხად მოდარაჯე ქალებმა დაუძახეს სიმღერით:

„არც მოგცემთ და არც გაგაგზავნთ, თამარ კარგა გვყავო.
სამაია სამოაგანა გულს გარდამო“.

ამ ბოლო სიტყვებს დასტალუდად დაატანენ ხოლმე ვაჟის პატრონები. ხოლო ქალის პატრონი-კი ბოლოს შეუცვლის და გულს მაგიერად იტყვის: თამარ კარგა გვყავო.

„ჭკა, ნაშანი, მოგვე ქალი გულს გარდამო“.

ამ სიტყვებით ხელაბოლს გადაუგდებენ. ახლა მოდარაჯეები მღერიან:

„არც მოგცემთ და არც გაგაგზავნთ, თამარ კარგა გვყავო“.

ხელაბოლს უკანვე მიუგდებენ.

„სამაია სამოაგანა გულს გარდამო. ეგ წუეული ლამაზია, ჩვენ კაკეს მოუნდაო.
თქვენი კაკეა სულ არ მოგეწონს და არც ქალს უნდაო.
სამაია სამოაგანა თამარ კარგა გვყავო.
თქვენი ქალი კითომ კაუჩად უკეოესაო.
მაშ არა და გასუსულია ესე თეორაკო“?

ახლა ვითომ გულ-მოსული ვაჟის პატრონი წუნს დასდებს ქალს:

„თქვენი ქალი, თაროს თაგვი, გულს გარდამო,
თქვენი კაკეა ქაჩალია, თამარ კარგა გვყავო,
მოკალ, ძალთ მოეტაცებ გულს გარდამო.
თაკს დაკდებ, არ დაგანებებ, თამარ კარგა მყავო“...

ამ ნაირად ყოველს შემოვლაზედ დაატანეს სამაია სამთაგანი და მერმე უეცრად ერთიან ქალები მიეხვევნენ ქალის მოდარაჯეებს, წაართვეს ყივილ-კივილით და ეს თამაშობა ამით გაათავეს.

თებრო, მოტაცების დროს, თავ მოხდილი, კაკვებ გაწეწილი და გაწითლებული, მშვენიერი სანახავი იყო, შავს თვალებს ჯერინავით აბრიალებდა. ამ დროს ყმაწვილი ბიჭები ახლო მოგროვილიყვნენ და ამათ სეირს უყურებდნენ.

დალაქიანთს ბიჭს მალხაზს, რომელმაც თებრო დაინახა, იმ წამსვე ისეთმა აღმურმა დაუარა გულში, რომ თავბრუ დაესხა, და რამდენსამე წუთს გაშტერებული იდგა. მერმე ერთს თავისს ტოლს ბიჭსა ჰკითხა:—„ეგ ქალი ვისიაო? უპასუხეს“,—„განა ვერ იცნობ, ნაცვლიანთ ლაზარეს ქალიაო!.“—„საიდან მეცნობება მე, ეს ოთხი წელიწადია აქ არა ვყოფილვარ!.. თებრომაც თვალი შეასწრო მალხაზას დაშტერებას და ამასაც რაღაც გრძნობამ გაუარა გულში!.. ამ დღიდამ დაწყებული მალხაზო თებროს გზის მაყურებელი შეიქნა. წყალზედ წავიდოდა, თუ ეკკლესიაში, ისიც იქით მხარეს გაჩნდებოდა.

ერთხელ წყლით სავსე კოკა ეკიდა და მოჰქონდა ერთს ვიწრო ორღობეში: მალხაზო წინ შეეხვეწა თებროს და დაუწყო ლაპარაკი.

გოგოჯან! შენი ჭირიმე, რათ ჩადექ ჩემ ცოდოში და შენი სიყვარულით ასე რათ გადამრიე, რომ ვეღარც აქეთ წავსულვარ და ვეღარც იქითაო?!.

თებროს სირცხვილის ოფლმა და-

ქართველოდამ აქ მოვიდა ერთი მშვენიერი ქალი, რომელმაც ეს კოშკი გააკეთა, შიგ ამ მხრის უფროსი დასვა და თვით-კი ისევ გურჯისტანში წავიდაო“. ამ კოშკს გარდა აქ არის ორი სხვა ძველი ეკკლესია, რომელსაც აგრეთვე ქართული წარწერა აქვსო.

*** რკინის გზის სადგურს პუტას ქვემოდ შემდეგი ამბავი მოხდა. ოთხშაბათს, 19 ივნისს, დილით დიდი ქარი ამოვარდა, რომელმაც სადგურ „ვოლჩია ვაროტა“-დგან მოიტაცა ოცი ნავთის ვაგონი, რომელიც გაქანებული წავიდა სადგურ პუტასაკენ. ამ დროს გზაზე მუშობადა რამდენიმე კაცი, და ამათგან ერთი გაქანებულს ვაგონებს ქვეშ მოჰყვა და ისე დასახჩრდა, რომ მაშინვე სული დალია; ამის გვარი ამირაღოვია.

ამავე დროს პუტადგან საქონლის მატარებელი № 31 მოდიოდა და მოულოდნელად წინ შეეხეჩა გამოქანებულს ვაგონებს. კარგა-რამ მაშინისტმა მაშინვე გააჩერა მატარებელი. ამ დროს გამოქანებული ვაგონებიც გაჩერდნენ, რადგან ორი კონდუქტორი ზედ შერჩენილიყო ამ ქარისაგან მოტაცებულს ვაგონებზე, ალაყები მოუჭირეს და დროზედ შეაჩერეს ვაგონები. ამ გვარად უბედურებაც თავიდამ ასცილდა ყველას.

*** ქ. ქუთაისი, 19 ივნისი. არ იქნა და არ მიეცა დასასრული ჩვენის ხელოსნებისა და მათის მთავარ-უსტაბაშის ბ-ნ პატარიძეს შორის ჩამოვარდნილს უთანხმობას. „იევრიის“ საშუალებით მკითხველებს ეხსომებათ, რამაც გამოიწვია მათ შორის უთანხმობა ან რითი შეეჩერეს დღემდის საქმე. საქმე იმან შეაჩერა, რომ სარევიზიო კომისიამ თავის მიერ შედგენილი ოქმი გადასცა ბატონს გუბერნატორს და ამასთანავე ასორმოცდა-ათამდე კაცმაც მიართვეს თხოვნა პატარიძის წინააღმდეგ. ბატონმა გუბერნატორმა ეს ოქმი და თხოვნა გადასცა საგუბერნიო საბჭოს განსახილველად. საბჭომ მიანდო ამ საქმის გამოძიება გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელეს ბ-ნს ლუვიანენკოს. ბ-ნმა ლუვიანენკომ გახსნა კომისიის მიერ დაბეჭდილი დავთრები მათ დაუსწრებლად და შეუდგა საქმის გამოძიებას. გამოიძია და გადასცა საბჭოს. საბჭომ მოახდინა სხდომა ამის შესახებ, რამდენსმე საგანში გაამართლა პატარიძე და დაამტკიცა კიდეც თავის თანამდებობაზედ. ამან გამოიწვია ხელ-ახალი უთანხმობა. მოწონაღმდეგეებმა გამოიტანეს განჩინების პირი, დასწერეს სააპელაციო საჩივარი და მიართვეს, წესისამებრ გადასაცემად, საბჭოს მმართველობას. საბჭომ რაღაცა მიზეზების გამო შეაჩერა საქმე იმ დრომდე, რომ ვადა დაუკარგავს, როგორც ამბობენ, საქმეს მსვლელობისა. ამან უფრო ააღელვა მოწინააღმდეგენი და ახალს სამხედრო გუბერნატორს მიჰმართეს სიტყვიერის თხოვნით „ბატონო გუბერნატორო, ვინაიდგან ვადა დაგვაკარგვინეს საჩივრისა უმაღლესს მთავრობასთან, გთხოვთ, ხელ-ახალი მამოძიება დანიშნოთ და ან ნება დაგვრთოთ საჩივრის განახლებისა, ვისთანაც ჯერ არს“-სო. ბ-ნმა გუბერნატორმა აღუთქვა ხელ-ახალის გამოძიების დანიშვნა და ამითი დაამშვიდა აღელვებული ხელოსნები. არ გაუელია მცირეოდენს დროს, ბ-ნმა გუბერნატორმა შეასრულა დაპირებული და საქმის დაწვრილებით გამოსაძიებლად თავისივე საგანგებო საქმეთა მოხელე თავ. მელიქიშვილი დანიშნა. თავ. მელიქიშვილი ცამეტ ივნისიდგან შეუდგა საქმის გამოძიებას. იმედია, ეხლა მაინც მოეღება ბოლო ხელოსნთა შორის ჩამოვარდნილს უთანხმობას. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პატივცემული თავადი მელიქიშვილი გულ-მოდგნედ შეუდგება საქმის გამოძიებას და გვადირსებს მართალთა გამართლებასა და მტყუანთა გამტყუნებას და მოუღებს ბოლოს ამ უთანხმობას.

*** ამას წინად მოვიხსენიეთ, რომ პეტერბურგში საქალაქო საკომერციო კურსები დაარსდა ქალბატონის პ. ივა'შენკოვის მეცადინეობითო. ეს კურსები თავისის პროგრამით უმაღლეს სასწავლებელს უდრის და მიიღებს ის ქალებს, რომელთაც საშუალო სასწავლებლები დაუმთავრებიათ (გიმნაზია, ინსტიტუტი და სხვ.). პირველს ხანებში ეს კურსები მოთავსებული იქნება იმ სახლში. სადაც ეგრედ წოდებული „ბესტუჟევის უმაღლესი საქალაქო კურსებია“ და, თუ ამ კურსებს

ასხა და ძლივს ამოილუღლუღა:— „გზაზედ რას მეღობები, დამეხსენ, მე მაგეგებისა არა ვიცირა! ქალმა გაჰსწია თავის სახლისაკენ!..

მეორე დღეს მალხაზამ ლაზარეს მოციქული მიუგზავნა და თებრო ჰსთხოვა, მაგრამ ლაზარემ და იმისმა ცოლმა ანამ ჯავრობით თავები დაიხოცეს—„გენაცვალეთ იმას ჩვენს ქალს როგორ მივცემთ! ერთი ღერი ბიჭი, უსახლ-კარო, ხან სად დაეთრევა და ხან სად, თავი ძლივს შეუნახავს და ცოლშვილს ეპიდება?!. დედულ-მამულია და სულ ამოვარდნილი აქვს, ვაზის ადგილს გოქშოებს ამოუყვია თავები. მაგას რომ მივცეთ, ისევ ჩვენი შესანახავი არ გახდება? არას დროს ეგ არ იქნება!..“

მოციქული უპატიურად გაისტუმრეს!.. როდესაც ეს პასუხი მალხაზას უამბეს, წელი მოჰსწყდა და კიდევ არ მოეშვა, რამდენიმე სხვა კაციც მიუგზავნა და თავის ბებია მარინეც, მაგრამ ისინი დიდს უარზედ დადგნენ და ყველას ეს უთხრეს:— „ჩვენი ქალი გათხოვილიცა გვყავს და საქმეც მორჩენილი არისო!..“ მალხაზომ ბევრის ოხვრა-გმინვის შემდგომ, იფიქრა: „ერთი თებროს კიდევ ვნახავ სადმე, იმის გულის პასუხსაც შევიტყობ და, თუ იმასაც არ ვენდომები, ავდგები და ასეთს ადგილს გადავიკარგები, რომ აქაური ღრუბელი თვალითაც აღარ დავინახო, ეხლაც საწყალი ბებია ჩემის სანახავათ მოველ, თორემ აქ რა მინდოდა!“-ო.

II

მალხაზოს გარემობა ასე იყო: იმისი დედა მალხაზაზედ ორსულად იყო მაშინ, როდესაც მისი მამა ტყეში სანავე ხის ჭრაში ხემ ქვეშ დაიტანა და ველარავინ-რა უშველა. ცოლი და დედა დარჩნენ მწუხარენი და უნუგეშონი. როდესაც მალხაზო დაიბადა, ცოლიც ლოგინობაზედ გაცივდა და გარდაიცვალა. დარჩა ეს პატარა ბავშვი ორის კვრისა. აქეთ იქით დაუწყო ბებიამ ძიძის ძებნა, მაგრამ ამ სოფელში ძიძობა ისეთ

მოსწავლენი მოისურვებენ, შეუძლიათ საკომერციო კურსების ლექციების მოსმენაც.

პეტერბურგის გაზეთი „ნოვოსტი“ იუწყება, რომ უმაღლეს „საკომერციო კურსებს“ გარდა კიდევ ორი ხხვა ამისთანა კურსიც უნდა დაარსდეს პეტერბურგში, მხოლოდ უფრო მცირე პროგრამითა, რომელსაც პრაქტიკული ხასიათი ექმნებაო, და ასწავლონ სავაჭრო კანტორებისა და ბუხჰალტერიის დავთრებისა და სავაჭრო საქმეების წარმოებაო. ამ სასწავლებლების პროექტი უკვე წარდგენილია და მომავალ 1891-1692 წლისათვის მოელიან მთავრობის მიერნებართვასაც.

არჩილური, ᲨᲕᲘᲓ-ᲗᲐᲕᲘ

ბევრი კარგი უწერია, დიდის ხნიდამ მოლვაწეობს,
არ ივიწყებს არც ოჯახსა, მზვარეულსაც კაზმას მწეობს.
რიგს არ აკლებს არც მოთხრობას, ხან კამათშიც იბრძვის, მხნეობს,
ბულბულებრ მღერს ლექსს წყობილსა, ზოგჯერ დრამას მოაზრეობს;
ანბანებსაც არ იზარებს, თვისი ენა იცის კარგა,
ლხინში-ჭირში ვითა მართებს ქართველს ქალსა, შეხვდეს—ვარგა
ერს რა შერჩა, ისიც იცის—იცის რაცა დაეკარგა:
სულ ეს შინ აქვს წაკითხული, ძვირფას წიგნთა ედგა ხარგა.

კიდევ ქართულის წერის გამო.

ამ ორის წლის წინად „ივერიაში“ დაიბეჭდა ჩემი წერილი ქართულის წერის შესახებ, რომელშიაც ვამბობდი, რომ ა) ჩვენი მასწავლებლები სრულიად უსაფუძოლოდ აწყებინებენ ბავშვებს პირველადვე მრგვალის ხელით წერას და მხოლოდ უფროსს კლასებში გადადიან ნუსხურზედ მაშინ, როდესაც ნუსხურიდამ მრგვალს ხელზედ გადასვლა გაცილებით სამჯობინოა და ბ) რომ ბუნება ქართულის წერისა მოითხოვს, ასოები სწორედ, ჩვეულებრ იწერებოდეს და არა დახრით.

უკანასკნელი აზრი ზოგიერთს მასწავლებელს, როგორც შემდეგ შე-

სირცხვილად მიაჩნდათ, რომ არა დედაკაცი, თავის შვილის გარდა, სხვა ბავშს პირში ძუძუს არ ჩაუდებდა, თუნდა იმის თვალ-წინ ბავშს შიმშილით სული ამოსვლოდა. რა ექნა საცოდავს მარინეს, იწვოდა და იდაგოდა ცალკე შვილისა და რძლის ცეცხლით, ცალკე ამ პაწია ბავშვის ცოდვით. საქმე რომ გაუჭირდა, მეზობლისაგან ერთი სტაქანი რძე ითხოვა; როდესაც ბავშვი დაიწყებდა ჩხავილს, მარინე დაისველებდა თავის გამხმარის ძუძუს თავებს რძეში და ალოდნებდა. რამდენსმე დღეს უკან რაღაც ღვთის განგება მოხდა, ისეთი რძე ამოჰსქა ამ დედაკაცს, რომ ახალი მელოგინესავით ძუძუს წაუგრებდა ხოლმე. ესე-კი გამოზარდა დიდედამ ეს ბიჭი. როცა გაიზარდა მღვდელთან მნათედ დააყენა და ჰსთხოვა, რომ წიგნი ესწავლებინა. მალხაზომ სამი წელიწადი მნათედ გაატარა და წერა-კითხვა ისწავლა. მერმე მარინეს უთხრა: „ამ ორი ოდე კოდი პურისათვის აღარ

ვიტყე, სრულიად სხვანაირად გაეგო: პირში მიმტკიცებდნენ, ვითომ მე ამ წერილში დახრილის წერის მომხრეობა გამომეჩინოს და სწორე, ჩვეულებრს წერას უარ-ეყოფდე.

რადგანაც წერის საქმეს ამ ჟამად თითქმის ყველგან დიდს ყურადღებას აქცევენ და პირველ-დაწყებითის სწავლებაში დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ამიტომ, ვგონებ, ჩვენთვის, ქართველებისათვისაც, მეტი არ იქნება რამდენჯერმე გამეორებული ბაასი ჩვენის წერის შესახებ.

რომ ქართულს წერაზედ ლაპარაკი მეტი არ არის, ეს იქიდამ სჩანს, რომ ბევრს ჩვენს მასწავლებელს დღესაც არა აქვს გამორკვეული ისეთი უპირველესი და უსაჭიროესი საკითხვები, როგორც, მაგალითებრ: ნუსხურია ჩვენის ბავშვებისთვის საჭირო, თუ მრგვალი ხელი? ანუ ქართული ასოები დახრით უნდა იწერებოდეს, თუ სწორედ, ჩვეულებრ?

ხსენებულს პირველს წერილში ამ ორსავე საკითხავზედ პასუხი მქონდა მიგებული და პასუხის აზრი კიდეე ის იყო, რომ ქართულის სკოლებისთვის საჭიროდ მიმაჩნია: ა) ნუსხურს პირველი ადგილი სჭეროდეს, ნუსხურით დაწყებულიყო სწავლება და მრგვალის ხელისთვის ისე შეგვეხედნა, როგორც, მაგალითებრ, რუსები ასომთავრულს (прописныя буквы-ს) უცქერიან და ბ) უარ-გვეყო დახრილი წერა და მიგვეღო სწორე, ჩვეულებრი, როგორც შესაფერი და შესაბამი თვით ასოების თვისებისა, არამავნებელი ჰიგიენურის მხრით და ფიზიოლოგიურის მხრითაც შესაწყნარებლი,

ამ ორსავე საკითხავზედ საკმაო ლაპარაკი მქონდა; თუ უკანასკნელი ჩემი აზრი გადასხვაფერებით გიგეს, ამას იმ გარემობითა ვსხნი, რომ ყველგან, საცა ვხმარობდი სიტყვას „ჩვეულებრი“ (отвѣсный) კარექტორს შეცდომით „ჩვეულებრივ“ დაებეჭდინებინა. ცხადია ერ ორივე სიტყვა სულ სხვა-და-სხვა ცნებას ჰხატავს და ლაპარაკშიაც ერთის მაგიერად მეორის ხმარება შეუძლებელია.

დღეს კიდევ სხვა საბუთები მაქვს ხელში იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ დახრილი წერა (наклонное письмо) მაგნებელია და განსაკუთრებით ქართველებისათვის ხომ სრულიად

მოკცდებიო“... და შევიდა მილიციაში ყვარელში, თვეში თუმნად. იქიდამ ზაქათალას გადაიყვანეს და ოთხის წლის განმავლობაში აღარ მოსულიყო. ეხლა თებროს ნახვამ და იმის სიყვარულის გულში ჩავარდნამ ხელფეხი შეუკრა!..

ერთს დღეს ლაზარე ნაცვლის შვილი თავის ვენახის გვერდზედ სიმინდსა ჰხნავდა და თებროს დედამ ჯერი გაატანა; დახვდა კიდევ მალხაზო, წაავლო ხელი და უთხრა:—მანამ სწორედ არ მეტყვი, რომ შენზედ თავი დავდო, არ მოგვეშები.., მითხარ, შენც ისურვებ ჩემ შერთვას?!“

თებრომ უპასუხა,—„რა ვქნა? მე ვინ მაკითხებს? ხომ გიგე, ჩემმა დედამამ რაც შემოგთვალეს“—„შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, მარტო ეს მითხარ: გინდა ჩემი ქრმობა თუ არა?“ —ჰო, კარგი, თავი დამანებე!—„მაშ დავკოცნოთ ერთმანეთი და ეს იყოს

ჩვენი ნიშანი, რომ სიკვდილამდის ერთმანეთს არ ულალატოთ!..“ მიჰსწვდა თებროს, ჩაიკრა გულში,

---

შეუფერებელია ᲩᲐᲠ-მოსაწონი. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ მასწავლებელთა შორის მოიპოვებიან ისეთნი, რომელნიც ამ საგანზედ ჰფიქრობენ და სხვა წარმატებათა შორის ჰსურთ აგრეთვე ქართულის წერის განკარგებაც. მით უმეტეს ვბედავ ამ საგანზედ ხელმეორედ ბაასის ჩამოგდებას.

ერთს რუსულს ჟურნალში, სახელდობრ, „პედაგოგეურს კრებულში“ (ფებრუარი 1890 წ.) დაბეჭდილია წერილი სათაურით: „სკოლა მომავლისა“. ამ წერილში მოყვანილია უმთავრესი აზრები ამავე სათაურის თხზულებიდამ, რომლის ავტორადაც დასახელებულია მედიცინისა და ფილოსოფიის პროფესორი გერმან კოონი (ბრესლავლელი). ავტორი მეტად პირდაპირ და თამამად ჰსჯის თანამედროვე სკოლების მდგომარეობის შესახებ, იხსენიებს ყოველს მათს ნაკლულევანებას და დაურიდებლივ ჰკიცხავს მათს უკან ჩამორჩომას.

ამასთანავე მკითხველს უხატავს მომავლის სკოლის სახეს, ე. ი. იმ დროის სკოლისას, როცა ავტორისავე აზრით, საზოგადოება სწავლითა და გამოცდილებით დაწინაურდება, ნათლად შეიგნებს ყოველს მეცნიერებას და ეცდება თავის ცხოვრებისა და გაადვილებისათვის გამოიყენოს.

მომავალის სკოლის ხასიათის აღწერის დროს ავტორი სხვათა შორის ლაპარაკობს წერაზედაც და ამტკიცებს, რომ მომავალი პედაგოგები, როგორც ეხლანდელზედ მეტად შეგნებულები, თავიანთს მოწაფეებს უსათუოდ სწორე ასოებით (ჩვეულებრის შრიფტით) აწერინებენო.

დახრილი, გადაწვენილის ასოებით, წერა პროფესორს კოონს მეტად მავნებელ და შეუსაბამ საქმედ მიაჩნია.

„ამ ათის წლის წინდ—ამბობს ავტორი—სოფლის ერთს სკოლაში ბავშვებს მივეცი საწერი და ვსთხოვე, რეეულები სწორედ დაეწყოთ და სწორე ასოებით დაეწერათ; წერის დროს ყველანი თავ-აღებით სწორედ გამოჰიმეულები და წელ-გაშლილები ისხდნენ; მაგრამ, როცა იმავე დროს ვუბრძანე ახლა ისევ თავიანთებურად, დახრილის ასოებით ეწერათ, მაშინვე ყველა ერთბაშად მოიკუზა, წელში მოიხარა და ასე სახჩრად დამსხდრებმა იწყეს ხელ-მეორედ წერა.

დაჰკოცნა და მერე სისწრაფით გაშორდნენ ერთმანეთს, რომ არავის დაენახა!..

მალხაზოს მილიციაში წასვლა აღარ უნდოდა, მაგრამ ფიქრობდა: „იმისთანა ჯამაგირიანი ადგილი რომ დავჰკარგო, ჩემთვის ძნელი იქნებაო, მერმე ეხლა, როდესაც ჯავარზედაც წარდგენილი ვარ. ერთი თებროს კიდევ ვნახავ და დავარიგებ, თუ რამ უნდოდეს, მომწეროს და წიგნი ბებია ჩემს გადაჰსცეს: ის მე გამომიგზავნის და მე-კი ჯერ ხნობით კიდევ წავალ, უნდა ვეცადო, რომ ისევ ყვარელს გადმოვიდეო!...“ სამ დღეს უკან ეს დაწყობილობა კიდეც შეასრულა.

როდესაც თებრომ მალხაზოს წასვლა შეიტყო, მოიღრუბლა და თავისს გულში ამბობდა: „მალხაზო ჩემს სიყვარულს არა ჰფარავდა და ჩემს გულში-კი რა ცეცხლი ენთო, ეს-კი არ იცოდა!... ნეტა რაზედ ჩამებეჭდა გულში იმის მშვენიერი თვალ-ტანადობა, რომ იმის აჩრდილი სულ თვალ-წინ მიდგას?!“

ბავშვი პირველად სწორე ასოებით იწყებს წერას და მხოლოდ შემდეგ მასწავლებლის მუდმივის ჩიჩინისა და ჩვენების მიზეზით აწვენს ასოებს და ასახიჩრებს წერას.„...

„ბავშვმა რომ სწორე ასოებით ნაწერი გვიჩვენოსო, განაძრობს შემდეგ კონი, გადაჭრით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ის წერის დროს წელგაწლილი მჯდარა; დახრილის ნაწერის შესახებ-კი ესევე არ ითქმის: იმის გამოცნობა, თუ ბავშვი ამ გვარ წერის დროს როგორ იჯდა, ძნელია.“

ხსენებულის პროფესორის სიტყვები ჩვენთვის, ქართველებისთვის, მით უფრო თვალსაჩინოა, რომ წერის იმ თვისებას, რომელსაც ავტორი მხოლოდ იდეალურად განათლებულს ევროპიელებს უწინასწარ-მეტყველებს, ჩვენ მამა-პაპათაგანვე ნაანდერძევი გვქონია და დღეს ასე უყურადღებობით, დაუდევარობით ვსცვლით, ვამახინჯებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენმა შთამომავლობამ ჯერ ჯეროვანის ეპიტეტებით შეგვამკოს და შემდეგ შეუდგეს ქართულ წერის თავდაპირველ სახის აღდგენას.

ამავე საკანს გაცილებით უფრო ვრცლად და საფუძელიანად განმარტავს მეორე მკოდნე კაცი, დოქტორი რემბოლდი, ავტორი თხზულებისა:—„ჰიგიენა სკოლისა“ (изд. журн. „вѣстникъ воспитанія“). ამ საუცხოო წიგნაკის შინაარსის მოყვანა შორს წაგვიყვანს; თვით წიგნის შოვნა მსურველს არ გაუძნელდება.

ვიტყვით მხოლოდ, რომ დოქტორი რემბოლდიც იმავე აზრისაა, რომ სწორე წერა ყოველის მხრით სასურველია და [illegible]—საწყენელი. ავტორი დაწერილებით ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იჯდეს ბავშვი წერის დროს, რომ წერა დიდხანს შეეძლოს და მასთან თავისს თავსაც არა ავნოს-რა; როგორ უნდა ეჭიროს თავი, თვალები, წელი, ფეხები, მკლავები; როგორ უნდა ამოძრაოს თითები; რა მანძილის სიშორეზედ უნდა ეჭიროს მკერდი ან სახე ტაბლიდან და შემდეგ ყველა ამისა დასაკვნის, რომ მხოლოდ სწორე, ანუ ჩვეულებრს წერას შეუძლიან ბავშვი მართებულს ჯდომას და ასოტანის მოძრაობას შეაჩვიოსო.

მაგრამ ერთს ნაკლულევანებასაც ჰპოვებს ავტორი სწორე წერაში, ერთმანეთის მოყვარულნი ამ ფიქრებში იყვნენ, და ის-კი არ იცოდნენ, ლაზარე და ანა ჩუმ-ჩუმად რა განზრახვასა ჰსჩარხავდნენ!...

ამაღლების წინა კვირაში ანამ პური გამოაცხო, სახლ-კარი დაალაგა. ლაზარემ ცხვარი დაკლა და ცოლს უთხრა:—დედაკაცო, ორიოდე ქათამიც გააკეთე. სტუმრები რომ მოვლენ, კარგა, ოჯახ-კაცურად დაეუხვდეთ, რომ ღარიბ-ღატაკნი არ ვეგონოთ. შენ გოჯიც მოუმატე, იმათზედ ნაკლები რაში ვიქნებით!... ჩემ სახლი კაცსა და რძლებსაც მოვიპატიჟებ“. ლაზარე რომ გავიდა, ანამ თებროს უთხრა:

— ქალბატონმა რომ კისაიის კაბა გაჩუქა, შენ ის ჩაიცვი და კარგად მოიროე!..

— ვინ მოდიან, დედი?

— რა ვიცი, მამა შენს აღრეე მაღლარიში შვილი მოუნათლავს ჩახმახშვილისათვის და იმის ჯალაბობა აქ სალოცავში უნახავს და მოუწვევია!..

— ჰოო! სთქვა თებრომ.

იმის აზრით, როცა ბავშვს რეული წინ სწორედ ედება და ჩვეულებრის ასოებით დაიწყებს წერას მეტად ძნელია, რომ სტრიქონი სწორედ წაიყვანოს და თან-და-თან ზემოდა და ზემოდ არ ასწიოს.

ეს მართალია, მაგრამ დახრილის წერის დროსაც მასწავლებელი თავდა-პირველადვე რომ ზრუნვას არ შეუდგეს და ბავშვი წერის დროს თავისს თავზედ მიანაბროს, მან სტიქონი რკალის მეზავსად უნდა გამოიყვანოს, ე. ი. ჯერ მაღლა-მაღლა ასწიოს და შემდეგ თან-და-თან მომრგვალებით ძირსვე დასწიოს. ამას თხოოლობს ხელისა და მკლავის თავისუფალი მოძრაობა. მაგრამ დახრილის ასოებით ბევრნი სწერენ და სტრიქონები-კი რკალსავით არავის გამოჰკვეს. ეს აიხსნება პირველად მეცადინეობით და შემდეგ ჩვეულებით. ამ გვარდაგე ეცდება ქართველი ბავშვი ჩვეულებრ წერის დროს სტრიქონი სწორედ წაიყვანოს და ბოლოს ისე შეეჩვევა რომ მის მიუხედავად, შეუმჩნეველად ყოველთვის ჯეროვანი სტრიქონები გამოუვა.

ერთის სიტყვით, ქართულის ასოებით სწორე წერა ტრადიციის დაცვისთვის-კი არ არის საჭირო, არამედ უფრო იმიტომ, რომ მეცნიერი გვიმტკიცებენ სწორე წერის უპირატესობას დახრილის წერის წინაშე.

ალ. მირანაშვილი

რუსეთი

„В. Ев.“-ის ივნისის ნომრის მიმოხილვა ერთს ფრიად საყურადღებო საგანს ეხება. ნათქვამია სხვათა შორის ამ მიმოხილვაში, რომ ამ რამდენსამე ხნის წინად 20 წელიწადი შესრულდა, რაც სატახტო ქალაქებში მომრიგებელი დაწესებულებანი შემოიღეს, ესეგი 1864 წელს დაარსდა ახალი სასამართლოები, მაგრამ ამ ახლის შემოღებით ძველები-კი ვერ მოვიშორეთ თავიდგანო: აქნობამდე არსებობს ძველი სასამართლო დერარტამენტები სენატისა, ძველი პალატები სასისხლის სამართლო და სამოქალაქო სასამართლოსი და ძველი საგუბერნიო სასამართლოებიო. ამ გვარად ერთსა და იმავე დროს ერთს ხშირ-ბინდი რომ შეიქნა, ორღობეში გადაფარებულმა ურემმა ღრიჭინით ამოიარა, ლაზარეს ეზოში შემოვიდა და დაიძახა მეურმემ:— „ხიოო!“ დააყენა სახლის წინ და ჩამოხდნენ ოთხი ხანში შესული დედაკაცი და ორი კაცი; ანა და ლაზარე ღიმილით წინ მიეგებნენ და სახლში შეიწვიეს. დედაკაცები ტახტზედ დასხდნენ და გააბეს ლაპარაკი ბოსტნის მოსავლისა, ჭიაობასა, და კრუხ-წიწილაზე; კაცებმა ჩიბუხს დაუწყეს წევა და ბატონებზედ სამდურავს მოჰკვნენ: „არ გვასვენებენო!..“

თებრომ შამდალში ქონის სანთელი ჩაანთო, მოუკიდა და ტახტზედ სტუმრებს წინ დაუდგა; მაშინ ერთმა თალხად ჩაკმეულმა, თავ-შალ დადებულმა დედაკაცმა ჰკითხა ანას:— „აბა თქვენი ქალი რომელია?“— „აი, ეს გახლავთ!“ თვალით ანიშნა თებროზედ. დედაკაცებმა ერთმანეთს შეჰხედეს და ჩურჩული დაიწყეს, მერმე ერთმა იმთაგანმა ჯიბიდგან შეხვეული რაღაც ამოიღო, ანას წინ დაუდო და წასჩურჩულა:— „ეს ხელის დასადები გახლავთ“. ანამ აიღო, იქვე ზანდუკი იდგა, ახადა და შიგ ჩადო!.. ლაზარემ დაიძახა:— „აბა, დაღალულები იქნებიან და ვახშამი აღრე უნდა“. წამოდგნენ ანა და იმისი რძლები, სუფრა გაშალეს და საუმეელები დაალაგეს. ლაზარეს ძმამ ხელადებით ღვინოები შემოზიდა. ქალები დასხდნენ ჩამწკრივებით მოკეცილები ტახტზედ და კაცებმა წინ მიიდგეს სამფეხა ხის სკამები და მიჰყვეს ხელი სმასა და ჭამას. დაიწყეს სადღაგრძელოები, კაცმა და დედაკაცმა. ჯერ იმ თავ-შალიანის დედაკაცის სადღეგრძელი დალიეს. „უფალმა გიბედნიეროს შენი ადამ, როგორც შენმა გულმა გაიხარა კარგი რძლის შოვნით, ისე ყველამ გაიხაროს“!.. დედაკაცმა მადლობა გადუხადა, მერმე სტუმრად მოსულმა ხნიანმა კაცმა დაიძახა:— „ჩვენ ქორწილს აღარ დავაგვიანებთ, დღეისწორს ჩემი ძმისწული მეფიანად აქ უნდა იყოს“!.. ამათ ლაპარაკის გაგონებაზედ თებრო მიუდგა ორი სხვა-და-სხვა—ძველი და ახალი წესი აქვს. მაგრამ მარტო სამართლის საქმეებში არა ჰსუფევს ესეთი ორგვარობა და სხვა-და-სხვაობა: 25 წელიწაღზე მეტია, რაც რამდენმამე გუბერნიამ ერობა შემოიღო, გაიჩინა, და სხვაგან-კი ისევ ძველი და უძველესი წესი და რიგია დარჩენილი ადგილობრივის მმართველობისა. „მესამოცე წლებმაო, ამბობს „В. Евр.“-ი; გვიანდერძა, რომ ცვლილება (რეფორმა) თან-და-თან გავრცელებულიყო და შემოღებულიყო—ჯერ ერთს ადგილას, შემდეგ მეორეს, მაგრამ შემდეგმა დრომ შეაფერხა ეს წინ-მსვლელობა და თითქმის სრულიადაც შეაფერხო. მართლაც და, განა მოიფიქრებდნენ-კი სასამართლოთა წესდების შემდგენელნი, რომ საუკუნე მიიწურებოდა და სახელმწიფოს ჩრდილო და აღმოსავლეთის (სიბერეთა-კი და ᲓᲔᲑᲘᲚᲝᲑᲐ) განაპირს ქვეყნებს ჩვენს სახელმწიფოსას ისევ ძველი სასამართლოები, მხოლოდ მცირედად ფერ-ნაცვალი, შერჩებოდა ხელში!? გულში-კი გაივლებდნენ განა საერობო წესდების დამწერნი, რომ ერობა გავრცელდის მაგიერ სხვა-და-სხვა ადგილებში, 27 წელს შემდეგ ზოგგან კიდევაც მოისპობოდა (დონის ოლქსა და როვსტოვის მაზრაში მართლა მოისპო)! განა მოისაზრებდნენ 1865 წ. 6 აპრილის კანონ-მდებელნი, რომ უცენზოროდ ბეჭდვის ნება მხოლოდ სატახტო ქალაქებს ექნებოდა და იმათაც თან-და-თან უფრო შეუმცირდებოდა და შეეზღუდებოდა ეს ნება? მესამოცე წლებში შემდეგი აზრი გამოთქვა: ჩვენ მიერ შემოღებული ცვლილებანი იმდენად ახალია და წინაადმდეგი აწინდელის წეს-წყობილებისა, რომ მათის ერთბაშად ყველგან შემოღებისათვის არც ღონე შეგვწევს და არც ამისთვის საჭირო ხალხი მოგვეპოვებაო. ამასთანავე ადგილობრივი გარემოებანი სხვა-და-სხვა ადგილისა ბევრგან ხელს არ უწყობს ამ ცვლილებათა შემოღებას, მაგრამ გავა რამდენიმე წელიწადი. ხალხიც გამოჩნდება, ღონესაც მოვიპოვებთ, გარემოებანიც იცვლებიან და ცვლილებას (რეფორმას) ყველგან შემოვიღებთ ერთნაირად, მხოლოდ ზოგან ადგილობრივ განსაკუთრებულ გარემოებათა მიხედვით-კიო.

მაგრამ გავიდა ხანი, ახალ აზრთ იჩინეს თავი და შემოღებული ცვლილებაც იმათ დმექვემდებარა და სწორედ ამისი მიზეზია, რომ ვეღარ გავრცელდა და ვეღარ გაიკვლია გზა. სასამართლოს ცვლილებასაც ესევე დაემართა, ჯერ ნელ-ნელა, პატარა, შესწორება დაუწყეს და შემდეგ დიდად და ძირეულადაც შესცვალეს.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

I

დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალების გამო შემდეგი ამბავი გამახსენდა:

1830 წლებში საქართველოში პლატონ იოსელიანმა მოიპოვა ერთი ძველი ხელთნაწერი ქართული წიგნი, ლექსად დაწერილი, სახელდობრ, „სავანე გმირთა“. ეს წიგნი დაწერილია მეჩვიდმეტე საუკუნეში, ვიღაც ქართველის ბერისაგან. შიგ აწერილია მოღვაწეობა და დიდება იმ ქართველ გმირებისა, რომელნიც-კი საქართველოს გულისთვის დახოცილან, თვით ლექსის კილოც ხელოვნურია და, „ᲔᲔᲗᲮᲘᲚ-ᲗᲣᲐᲜᲘᲡ“ გარდა, ხელოვნურის კილოთი ეს არც ერთს ქართულს ძველს თხზულებას არ ჩამოურჩება. ამ თხზულების ხელნაწერები ძველად იშვიათი ყოფილა, ერთადერთი ხელნაწერი პ. იოსელიანს ჰქონია. 1830 წ. იოსელიანსა და დიდს ვიორგი ერისთავსაც წაუკითხავთ.

1876 წ. ტფილისში გაზეთს „დროება“-ში აცხადებდა ორი-სამი ძველის ქართულის მწერლობის მოყვარე კაცი, რომ ვინც „სავანე გმირთას“ წარმოადგენს, ისას ათს თუმანს მივცემთ ფულადაო, მაგრამ არსაიდგან არა იქმნა-რა—მთელს საქართველოში აღარსად აღმოჩნდა. შემდეგ შეეტყე: წიგნი „სავანე გმირთა“ პლატონ იოსელიანს ჰქონდა და როცა თავისი მდიდარი ხელნაწერი წიგნები ერთს ქართველს ბატონიშვილს მიჰყიდა, მაშინ ეს ხელნაწერიც თან გაჰყვაო. ამ წიგნთ-საცავის შესახებ ხომ თვით იოსელიანიც სწერს, რომ ჩემგან ქართული წიგნების გაყიდვა კანონიერი იყოვო. მყიდველმა ბატონიშვილმა ყველა ეს ძველი წიგნი რუსეთში წაიღო და იქ თავისთან ინახავდა. ამ ბატონის შვილის სიკვდილ და წასჩურჩულა:—„ეს ხელის დასადები გახლავთ“. ანამ აიღო, იქვე ზანდუკი იდგა, ახადა და შიგ ჩადო!.. ლაზარემ დაიძახა:—„აბა, დაღალულები იქნებიან და ვახშამი აღრე უნდა“. წამოდგნენ ანა და იმისი რძლები, სუფრა გაშალეს და საუმეელები დაალაგეს. ლაზარეს ძმამ ხელადებით ღვინოები შემოზიდა. ქალები დასხდნენ ჩამწკრივებით მოკეცილები ტახტზედ და კაცებმა წინ მიიდგეს სამფეხა ხის სკამები და მიჰყვეს ხელი სმასა და ჭამას. დაიწყეს სადღაგრძელოები, კაცმა და დედაკაცმა. ჯერ იმ თავ-შალიანის დედაკაცის სადღეგრძელი დალიეს. „უფალმა გიბედნიეროს შენი ადამ, როგორც შენმა გულმა გაიხარა კარგი რძლის შოვნით, ისე ყველამ გაიხაროს“!.. დედაკაცმა მადლობა გადუხადა, მერმე სტუმრად მოსულმა ხნიანმა კაცმა დაიძახა:—„ჩვენ ქორწილს აღარ დავაგვიანებთ, დღეისწორს ჩემი ძმისწული მეფიანად აქ უნდა იყოს“!.. ამათ ლაპარაკის გაგონებაზედ თებრო მიხვდა, რაც ამბავი იყო, გადაიქცა და ბოლოს-კი შეუღონდა. ყველანი მისცვივდნენ. „აი, წყალი, წყალი“... წყალი შეაწკაპწკაპეს და როდის-როდის ძლივს მოაბრუნეს. ანა ღრიალებს, ტირის—„შვილო, რა მოგვიდა?!.“-ო ძლივს ამოიძახა—„როგორღაც დამცხაო“, ლაზარემ ხელი მოჰკიდა და კარებთან ჩამოსვა.

დედაკაცებში ჩურჩული შეიქნა—„უი, ბნედა-კი არა ჰსჭირდეს გენაცვალეთ“? ლაზარეს ძმის ცოლი უპასუხებდა:—„არა, შვილი არ მომკვდეს, უთუოდ სირცხვილით მოუვიდა“. ზოგმა სთქვა:—„არა, უთუოდ მართლა დაჰსცხა“. თებროს აღარც უსვამს და აღარც უჭამია, პატარა ხანს თავი შეიმაგრა, მერმე-კი გავიდა ხულაში, წაეგდრო პირ-ქვე და მოჰყვა ქვითქვითს. მთელი ღამე დედამის ჩუმად ტირილში გამოათენა. მეორე დღეს ქალის გამსინჯავებმა საუზმე მიირთვეს, ჩასხდნენ ურემში და წავიდნენ!.. თებრომ ავადმყოფობა მოიგონა და ორს დღეს ქვეშაგებიდან აღარ ამდგარა, შემდგომ გამოირჩა, გონს მოვიდა და სთქვა გულში:—„მართლა, რომ ის კაცი მოიყვანონ და ჯვარი დამწერონ, მე ხომ ჩემი დედ-მამის შიშით უარს ვერ ვიტყვი და რა უნდა ვქნაო? მოდი წიგნს დავსწერ და მარინეს მივცემ, რომ მალხაზოს გაუგზავნოს!..“ წავიდა თავიანთს ბაღაში, შეიტანა საწერ-კალამი და დასწერა:—„რასა დროს ეს წიგნი მოგვიდეს, იდგე, აღარ დაჯდე და იჯდე—ადე და წამოდი, თორემ მე ვიღაცაზედ ჯვარის დაწერას მიპირობენ და მე და შენ ისეთი ფიცი მივიცია ერთმანეთისთვის, რომ იმას ვერ გავტეხ. თუ არ მომასწარ, იცოდე, წამიყვანენ თუ არა, იმავ ღამეს ჩემი თავთის სარტყლით თავს ვირჩობ!.. სახელს თითონ შენც მიხვდები, ვინცა გწერს!..“ ეს, რომ დაწერა, დაკეცა და უბეში ჩაიდო, გამოვიდა, კოკა აიღო და გასწია, ვითომ წყალზედ მივალო!..

(დასასრული იქნება)

პარპარე ეფორეაძისა

ᲗᲔᲑᲠᲝᲛ შამდალში ანამ ბუნი გამოაცხო, ოჯახ-კაცურად ეუხვდეთ, ანა ეზოში ბოსტნეულ ეკრიბა, ლაზარე ეზოში ეზოში ეზოში

50 კაპ., მღ. მ. ხელაევი—50 კაპ., მღ. გ. ჩელიძე—50 კაპ., ი. იმერლოვი—50 კაპ., მაჯავარიანი—40 კაპ., მღვდელ-მონაზონი ნიკიფორე—1 მან., მღვდელ-მონაზონი ბესარიონი—40 კაპ., კოწია ცომაია—1 მ., ნიკო მიქელაძე—1 მან., დიაჩოკი დმიტრი—50 კაპ., მ. ციცქიევი—1 მან., ე. ხირსელი—50 კ., ი. კოლელოვი—50 კაპ. და ნ. ჯორჯაძე—1 მან. სულ 15 მან. 90 კაპ.

გ. ბარნოვი

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

20 ივნისს

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გამოაცხადეს წესები, რომლითაც ურთიულ უნდა ჰყონს სასამართლოში საქმის წარმოება თამასუქებისა და დაქირავების პირობის წერილების თაობაზე.

ᲒᲔᲚᲡᲘᲜᲒᲤᲝᲠᲡᲘ. მათის უდიდებულესობის ესკადრამ გუშინ გელსინგფორსის მახლობლად გაიარა დასავლეთისკენ.

ᲛᲐᲓᲠᲐᲡᲘ. მდგომარეობა ინდოეთის იმ ოლქებისა, რომელთაც სიმშილი მოელის, უფრო უარესდება, რადგან წყალიც აკლდებათ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. სპარსეთის მთავრობამ, ინგლისის მთავრობის დახმარებით, მიმართა პორტას თხოვნით, ნება მომეცი, იარაღი ვიხმარო და ქურთების მიერ მოტაცებული ინგლისელი ქანწული ქალი განვათავისუფლოო. სპარსეთმა ჯარი გაგზავნა საუკ-ბულასში.

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ. მემკვიდრე პრინცი სიგმარინგენში წავიდა.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. იმპერატორი და იმპერატრიცა გემით „ჰოგენკლერენ“-ით წავიდნენ ჰოლლანდიაში.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲑᲔᲜᲘ. საფრანგეთის ელჩის მიერ საფრანგეთის ესკადრის ოფიცერთა პატივისცემლად გამართულს სადილზე მინისტრები ყველანი იყვნენ, გარდა ესტორუბისა. ერთიერთმანეთის სადღეგრძელოს სვამდნენ და აცხადებდნენ დანიისა და საფრანგეთს შორის კეთილს განწყობილებას.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ფრანგებმა დაიჭირეს პროვინცია ლუანგი-პრაბანგი, მდინარე მეკონგის აღმოსავლეთით. ეს პროვინცია სავასსალოა სიამისა, რომელიც ხარკს აძლევს ჩინეთსა.

ᲕᲔᲜᲐ. „Народ. Листы“ ამბობს, რომ რუსეთის გაზეთები მართალნი არ იყვნენ, ჩეხებს რომ ჰაიცხადენენო. „ვაშატის სიტყვაო, განაგრძობს გაზეთი: ჩეხების გრძნობათა საწინააღმდეგოდ არ იყო ცნობილიო. პირიქით, ჩეხების კლუბი და ჩეხების მთელი ერი დაეთანხმა ვაშატისო. ხოლო ტოლშერის მოხსენება შეეხებოდა მხოლოდ ზოგიერთის ამბის საგანს. ჩეხთა ერიო, განაგრძობს კვლავ „Нар. Листы“: არა ჰკარგავს თანაგრძნობას რუსეთისადმი. დეპუტატ პოპოვსკის სიტყვაში გამოთქმული აზრი—გალიციის აზრი არ არის. ეს აღიარეს თვით პოლშელებმა ამას წინად, დღესასწაულების დროს, პრაგაში. ჩეხების გაღვიძებას კავშირი აქვს რუსეთის ძლევა-მოსილს მოქმედებასთან. ჩეხები კვლავ ხელმძღვანელები იქნებიან ავსტრიელ სლავიანთა.

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ.. აქ მოვიდა გერმანიის იმპერატორი და დედოფალი, რომელთაც დიდის ამბით მიეგებნენ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 18 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ.

	ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡ.		ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ.		ᲒᲐᲣᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	7	,,	7	03	—	,,
ტამოჟნის აუპონები	140		140	1/2	—	,,
ძანეოანი ვერცხლის ფული	1,	04	1,	00	—	,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	—	,,	—	,,	243	
ფერისა	—	,,	—	,,	223	
ფესამისა	—	,,	—	,,	—	,,
სახელმწიფო თავად-აზნაურთის ბანკის ფურცელი,	212		—	,,	210	1/4
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	—	,,	—	,,	—	,,
ქუთაისის ბანკისა	—	,,	—	,,	—	,,
ტფილისის საერთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	,,	—	,,	—	,,

ᲛᲘᲝᲬᲘᲡᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲐᲕᲡ ᲖᲚᲔᲕᲐᲖᲔ

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღეკის 4 საათზე მოკლე გზით და ნოეორასიისკენ და კერძში შეიკვლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ეკელა ნავთ-სადგურში შეიკვლის).

კვირაობით, საღამოთი, სახლვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დიდეთ-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერძსა და ნოეორასიისკენ შეიკვლის).

შაბათობით, დიდეთ, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—ამის შემდეგ, რაც სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დიდის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსაარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დიდის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსაარულე კავკასია-ყიზარიმისა და რეშელდის ანტოლიისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითი და კვირაობით. რაკი გემი მოკავ ფოთიდამ, ბათუმის საკენტრო გადასწეკეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდ ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწეკეტილს კადაზე გემები.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ქ. სიღნაღში ახლად გაიმართა

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

ალექსანდრე მაჭავარიანისა და ამხანაგობისა

იქვე იღებენ ყდის კეთების საქმეს ლუკა მოსიდაშვილის სახლში.

ისყიდება აგრეთვე კანცელარიის ხელსაწყო.

(19—77—4)

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲗᲐ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

	მ.	კ.
პატიოსანი ადამიანი	„	5
ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ.	„	5
მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა	„	40
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი.	„	30
სამნი ბრძენნი, ილ. ოკონელისა.	„	20
ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა	„	25
იქავე ისყიდება-ᲗᲝᲜᲠᲜᲘᲙᲘ ᲔᲠᲘᲜᲗᲐᲜᲘ, ისტორიული პოემა ჯაკობისა	1	„

„ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

	მან.	კაპ.
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი	„	30
ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიშვილის მიერ.	„	30
ლექსები ნ. ბარათაშვილისა.		
ახალი გამოცემა.	„	30
რამდენიმე ლექსი ცახელისა.	„	15
თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით	2	„
ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი	8	„
ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან	3	„
გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან	1	„
წინამძღვარი ზეცისა	„	50
წმიდათა ცხოვრება	1	20
ივანენი ფილოსოფოს ეზოპისა	„	40
სიბრძნე კაცობრივი	1	„
ბრძენი	„	30
მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით.	„	50
მოკლე ფრანგული გრამატიკა	„	40
მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე ღღევანდლამდე, ყდით	1	20
მოკლე გეოგრაფია ფიზიკერივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა.	„	50
მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოდიკურის ანალიზებისა.	„	40

ᲡᲐᲒᲐᲚᲐᲜᲢᲔᲠᲘᲝ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

Ვ. Ი. ᲑᲠᲝᲚᲓᲡᲙᲘᲡᲐ

ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲘᲓᲐ შუა-ბაზარში, კათოლიკეთა ქუჩის კუთხეზედ, სადაც წინად მერაბოვის ლაშქის მაღაზია იყო.

(20—72—13)

ტფილ. გამოფენა.



ვარცლისა



ოქროსი

ᲐᲚᲐᲚᲝ ᲗᲣᲗᲐᲔᲕᲘᲡ

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ,

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სტანციების ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის ხუდოენიკის და ფაეტონების წასასმელს ყველანაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში, ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანლო ადგილებში საქმის სიმკვიდრისთვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ო�sაც პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ).

ჩემი ადრესი: въ Тифлисъ заводъ масляныхъ красокъ на кузнецкой улицѣ (ярмарка) или собственномъ домѣ Абасабадская площадь Агало А. Тутаеву. (15—75—6)

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თვითი.	10 მ.—კ.	6 თვითი	6 მ.—კ.
11 ,,	9 ,, 50,,	5 ,,	5 ,, 25,,
10 ,,	8 ,, 75,,	4 ,,	4 ,, 70,,
9 ,,	8 ,, —,,	3 ,,	3 ,, 50,,
8 ,,	7 ,, 25,,	2 ,,	2 ,, 75,,
7 ,,	6 ,, 50,,	1 ,,	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარდ მცხოვრებთ უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმის მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲯᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანთია, ხოლო პირველი გვერდი—60 მანთია. რიცხი სტრიქონებისა გამოანგარიშება ამის კვლდობაზე, რამდენს ადგილსაც დაიკავებს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნონ. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საბეჭდავად მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჭკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ᲒᲣᲯᲐᲨᲘ, ნაოდოროზის ქუჩაზე, თავ. გრუზანსკისეულს სახლებში, № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 20-го Іюня 1891 г. სტამბა ᲛᲐᲠᲯᲘᲡᲐ, ნაოდოროზის ქუჩაზე, თავ. გრუზანსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ